

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „პატიმრობის კოდექსი“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„პატიმრობის კოდექსის“ მიღების მიზეზი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა სასჯელაღსრულების სფეროში სრულად ვერ აკმაყოფილებს პენიტენციური სისტემებისათვის დაწესებულ თანამედროვე სტანდარტებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

„პატიმრობის კოდექსის“ პროექტის მიზანია საქართველოში დღეს მოქმედი პენიტენციური სისტემის რეფორმირება, მისი საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და შესაბამისობის მიღწევა. კოდექსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სფეროს ადმინისტრირების გაუმჯობესება, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულებისა და თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების უფლებრივი მდგომარეობის ზედმიწევნით მოწესრიგება, მათთვის მყარი სამართლებრივი და სოციალური გარანტიების მინიჭება, მსჯავრდებულების რესოციალიზაციისათვის ხელის შეწყობა

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„პატიმრობის კოდექსის“ პროექტი შეიცავს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებსაც იგი ეყრდნობა. კერძოდ, საქართველოში წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით.

პროექტის თანახმად, კოდექსით დადგენილი წესით აღსრულება აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებასთან დაკავშირებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება, დადგენილება და მოსამართლის ბრძანება, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

პროექტი განსაზღვრავს საქართველოში წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემის ორგანოებს, რომელთაც წარმოადგენენ წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დეპარტამენტი და წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებები.

პროექტის შესაბამისად, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანოთა მოსამსახურეებისათვის (გარდა დეპარტამენტის უფროსისა) თანამდებობაზე დანიშვნის აუცილებელ პირობად დადგენილია საბაზისო სასწავლო პროგრამის გავლა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში, რომელიც წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

სისტემაში შემაჯავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ცენტრში მომზადების პროგრამის გავლის გარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში მოსამსახურის მიერ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მომზადების პროგრამის გავლა უნდა მოხდეს თანამდებობაზე დანიშნიდან 6 თვის განმავლობაში. აღნიშნული წესი ხელს შეუწყობს პენიტენციურ სისტემაში კვალიფიცირებული კადრების მოზიდვას. აღსანიშნავია, რომ პროექტის იმ თავი მთლიანად ეთმობა წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანოს მოსამსახურეების მიერ სამსახურის გავლის წესსა და პრინციპებს, მოსამსახურეების სახელმწიფო დაცვას, სოციალურ გარანტიებსა და პასუხისმგებლობას.

პროექტი აყალიბებს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ძირითად პრინციპებს, ისევე როგორც რესოციალიზაციის საშუალებებს, რომელთა გამოყენება დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე, მსჯავრდებულის პიროვნებაზე, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და ქცევაზე.

პროექტი შეიცავს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებათა ვრცელ ჩამონათვალს, რომელიც, ამასთან ერთად, არ არის ამომწურავი – იგი შესაძლებელია შეივსოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული სხვა უფლებებითაც, რომლებსაც ეს კოდექსი არ მოიცავს.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს მისი გარე სამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობა. პროექტის მიხედვით მსჯავრდებული სარგებლობს ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის უფლებით.

ხანმოკლე პაემნის უფლება გულისხმობს, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლის ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ 2 საათამდე ხანგრძლივობით შეხვედრის უფლებას, დაწესებულების ტიპის შესაბამისად, ხოლო ხანგრძლივი პაემანი წარმოადგენს ერთიდან ორ დღე-ღამემდე ვადით ერთად ცნოვრებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ სადგომში, ადმინისტრაციის დაუსწრებლად.

კოდექსის პროექტით პაემნებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია შემდეგი სახის ნოვაცია: „ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შეიძლება მიეცეს ხანმოკლე პაემნის უფლება მისთვის სასურველ ნებისმიერ პირთან. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე დირექტორის თანხმობა ან მოტივირებული მოტივირებული უარი ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეცნობება წერილობითი ფორმით.“

მსჯავრდებულთან შეხვედრა ხორციელდება მისი თანხმობის შემთხვევაში.

ღია ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებს გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება, რომელიც მას ეძლევა შვებულების სახით არაუმეტეს 5 დღის ვადით.

ბრალდებულის სფეციფიკური საპროცესო მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი სარგებლობს მხოლოდ ხანმოკლე პაემნის უფლებით. ბრალდებული სარგებლობს თვეში არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით. აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე.

პროექტის ნოვაციას წარმოადგენს მსჯავრდებულის სპეციალური ტანსაცმლით უზრუნველყოფის საკითხი. ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებული უნდა ატარებდეს სპეციალური ფორმის ტანსაცმელს, რომლის ტარებაც ამ ტიპის დაწესებულებაში მყოფი ყველა მსჯავრდებულისათვის სავალდებულოა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. ამასთან, სპეციალური ფორმის ტანსაცმლის ტარების ვალდებულების მოხსნა წარმოადგენს მსჯავრდებულის წახალისების ერთ-ერთ ზომას. რაც შეეხება დახურული ტიპის

დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს, მათთვის სპეციალური ფორმის ტანსაცმლის ტარება სავალდებულოა. აღნიშნული სიახლე ხელს შეუწყობს საპატიმრო დაწესებულებაში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას, ასევე გააუმჯობესებს მსჯავრდებულის ჰიგიენურ პირობებს, წახალისებს მათ მიერ მოვალეობათა კეთილსინდისიერ შესრულებას და კარგ ყოფაქცევას.

პროექტის მიხედვით, იკრძალება მსჯავრდებულის მიერ ბანდეროლებისა და ამანათების მიღება, რაც შესაბამისად შენაცვლებულია მსჯავრდებულთათვის დახმარების მიღების ახალი მექანიზმით, რომელიც უმტკივნეულოდ და ცივილური ფორმით გადაჭრის ამ საკითხს. კერძოდ, დაწესებულებაში იხსნება სავაჭრო მინი-მარკეტი, რომელშიც ანგარიშსწორება განხორციელდება საბანკო ანგარიშის მეშვეობით. პირს, რომელსაც სურდა ამანათისა თუ ბანდეროლის გადაცემა მსჯავრდებულისათვის, ამ შემთხვევაში შესაძლებლობა ექნება საბანკო ოპერაციით უმოკლეს ვადაში, უმარტივესი პროცედურით დაურიცხოს თანხა, რომლის ხარჯვაც მსჯავრდებულს შეეძლება ზემოაღნიშნულ მინი-მარკეტში, იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული ლიმიტის შესაბამისად. აღნიშნული სისტემის დანერგვით ფაქტობრივად უნდა გამოირიცხოს მსჯავრდებულთა შორის ნაღდი ფულის მიმოქცევის შესაძლებლობა, რაც ამჟამად მრავალი საფრთხის შემცველ გარემოებას წარმოადგენს.

კოდექსის პროექტის ერთ-ერთ ძირეულ სიახლეს წარმოადგენს პენიტენციურ სისტემაში დღეს მოქმედი სასჯელის აღსრულების რეჟიმების ნაცვლად დაწესებულებათა ტიპების სისტემის შემოღებას. პროექტის მიხედვით, იქმნება დაწესებულებათა შემდეგი ტიპები: წინასწარი პატიმრობის დაწესებულება, ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. საჭიროების შემთხვევაში იუსტიციის მინისტრს შეუძლია შექმნას შერეული ტიპის დაწესებულება. დაწესებულებათა ტიპები ერთანეთისაგან განსხვავებულია იქ მოთავსებულ პირთა კატეგორიების, მათი უფლებრივი მდგომარების, დაწესებულების ტერიტორიის დაცვის სიმკაცრითა და მრავალი სხვა პირობით.

ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის იხდიან მსჯავრდებული პირები, რომელთაც სასამართლოს მიერ სასჯელის სახით განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს 2 წლის ვადით და პირველად გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირები, რომელთაც სასამართლოს მიერ სასჯელის სახით განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს 5 წლის ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსაკუთრებული გარემოებები მიუთითებენ მსჯავრდებულის სხვა ტიპის საპატიმრო დაწესებულებაში განთავსების საჭიროებას; მსჯავრდებული პირები, რომელთაც ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა შეეცვალათ ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხდით.

ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, სასჯელს იხდის: პირი, რომელიც მსჯავრდებულია გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის და მისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა აღემატება 5 წელს; პირი, რომელიც პირველად არის მსჯავრდებული განზრახი ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულისათვის; აგრეთვე მსჯავრდებული, რომელიც გადმოყვანილია სხვა ტიპის საპატიმრო დაწესებულებიდან კოდექსით დადგენილი წესით.

დახურული ტიპის საპატიმრო დაწესებულებაში სასჯელს იხდის პირი, რომელიც პირველად არის მსჯავრდებული განზრახი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და სასამართლოს მიერ განესაზღვრა 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა, არაერთგზის განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლები

პირები, უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირი, დანაშაულის რეციდივისას, აგრეთვე მსჯავრდებული, რომელიც გადმოყვანილია სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან კოდექსით დადგენილი წესით.

კოდექსი აფუძნებს წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სფეროში საზოგადოებრივი მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს. იქმნება საზოგადოებრივი კონტროლის ადგილობრივი საბჭო და საზოგადოებრივი კონტროლის ცენტრალური საბჭო.

საზოგადოებრივი კონტროლის ადგილობრივი საბჭო წარმოადგენს იუსტიციის მინისტრის საკონსულტაციო ორგანოს, რომლის შემადგენლობაში შედიან წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სასულიერო პირები და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრები. საბჭოს წევრი უნდა იყოს 18 წელს მიღწეული, ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე.

საზოგადოებრივი კონტროლის ადგილობრივი საბჭოს ამოცანებია: ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა, მათი პირობების გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა, დაწესებულების ადმინისტრაციისათვის დახმარების გაწევა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, სწავლების, მუშაობის, კვების, სამედიცინო მომსახურების, მათზე ზედამხედველობის განხორციელებისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტაში, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და რეკომენდაციების წარდგენა დაწესებულების დირექტორისათვის, დეპარტამენტის თავჯდომარისა და იუსტიციის მინისტრისათვის.

საზოგადოებრივ კონტროლს წინასწარ საპატიმრო და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებზე ახორციელებს საზოგადოებრივი კონტროლის ცენტრალური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის დაწესებულებების საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელი ადგილობრივი საბჭოს თითო წარმომადგენელი. საბჭოს ამოცანებს წარმოადგენს წინასწარი პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციისათვის დახმარების გაწევა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების, სწავლების, მუშაობის, კვების, სამედიცინო მომსახურების, სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის, მათზე ზედამხედველობის განხორციელებისა და სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტაში. აღნიშნული ამოცანების განხორციელებისას საბჭოს უფლება აქვს შეიმუშაოს რეკომენდაციები და მიმართოს დაწესებულების დირექტორს, დეპარტამენტის თავჯდომარესა და იუსტიციის მინისტრს. ექვს თვეში ერთხელ საბჭო იუსტიციის მინისტრს წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

პროექტი ითვალისწინებს მსჯავრდებულის გათავისუფლების შემთხვევაში მისთვის მნიშვნელოვანი გარანტიების დაწესებას.

თავისუფლების აღკვეთის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ექვსი თვისა შესაბამისი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და დასაქმების სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებს მსჯავრდებულის გათავისუფლების, მისი საცხოვრებელი ადგილის, შრომისუნარიანობისა და სპეციალობის შესახებ. მსჯავრდებულს უტარდება აღმზრდელი მუშაობა მისი გათავისუფლებისათვის მომზადების მიზნით, განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები.

მსჯავრდებული სასჯელს იხდის მისი საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში,

გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი იქ განთავსება შეუძლებელია დაწესებულების გადატვირთულობის გამო. გამონაკლის შემთხვევებში, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი პირადი უსაფრთხოებისა ან/და მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღებისას მსჯავრდებულს დაუყონებლივ წერილობითი ფორმით უნდა გააცნონ მისი უფლებები და მის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური და სხვა სახის მოთხოვნები მისთვის გასაგებ ენაზე.

წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს, დადგენილი წესით, გამოიყენოს აუდიო, ვიზუალური, ელექტრონული ან სხვა სახის ტექნიკური კონტროლის საშუალებები გაქცევების, სხვა დანაშაულებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფაქცევის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით. ამასთან, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებულები/მსჯავრდებულები დაცვისა და კონტროლის ამ საშუალებების გამოყენების თაობაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

პროექტის მიხედვით, წინასწარი პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ: საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პარლამენტის წევრი; პროკურატურის სისტემის საამისოდ უფლებამოსილი პირები; სახალხო დამცველი და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები; ადგილობრივი საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოს წევრები; საზოგადოებრივი კონტროლის ცენტრალური საბჭოს წევრები; დეპარტამენტის მულტიმომქმედი კომისიის წევრები.

პროექტი აღმოფხვრის დღეს არსებულ საკანონმდებლო ვაკუუმს დაწესებულებებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაშვებასთან დაკავშირებით. პროექტით ეს საკითხი დეტალურად არის რეგლამენტირებული. ამასთან, დაფიქსირებულია ასეთი ტიპის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელ სუბიექტთა წრე.

მსჯავრდებულებს, გარდა კარცერში, ან სამართლო საკანში მოთავსებული მსჯავრდებულებისა, ეძლევათ ტელეტრანსლაციის ნახვის უფლება სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, გარდა ღამის საათებისა. მსჯავრდებულს ან მსჯავრდებულთა ჯგუფს, დაწესებულების ტიპით გათვალისწინებული შეზღუდვების შესაბამისად, შეიძლება ჰქონდეთ პირადი რადიომიმღები და ტელევიზორი, თუ მათი გამოყენება არ არღვევს დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა მსჯავრდებულთა სიმშვიდეს. მათ აღნიშნული ტექნიკა შეიძლება შეიძინონ თავიანთი ხარჯებით ან მიიღონ ნათესავებისაგან.

მსჯავრდებულს, რომელმაც შრომისუნარიანობა დაკარგა სასჯელის მოხდის პერიოდში ან სასჯელის მოხდის პირობების გამო მძიმედ დაავადდ, აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და წესით.

პროექტის თანახმად, იქმნება წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დეპარტამენტის მულტიმომქმედი კომისია. დეპარტამენტის მულტიმომქმედი კომისიის წევრებს დეპარტამენტის მოსამსახურეთა შემადგენლობიდან დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს

იუსტიციის მინისტრი. დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

დეპარტამენტის მუდმივმოქმედ კომისიას შუამდგომლობით მიმართავს ბრალდებული/მსჯავრდებული, ბრალდებულის/მსჯავრდებულის დამცველი ან კანონიერი წარმომადგენელი ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანხმობით, ახლო ნათესავი ან წინასწარი პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი. დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისია განიხილავს შუამდგომლობას და წარდგინებით მიმართავს სასამართლოს შემდეგ საკითხებზე:

ა) სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება;

ბ) სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა;

გ) განაჩენის აღსრულების გადავადება.

დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისია განიხილავს შუამდგომლობას და წარდგინებით მიმართავს დეპარტამენტის თავმჯდომარეს შემდეგ საკითხებზე:

ა) რომელი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა მოიხადოს მსჯავრდებულმა სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი;

ბ) შერჩეული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება თუ რომელი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებით შეიცვალოს;

გ) იმავე ტიპის სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა.

დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინებას უნდა ახლდეს მსჯავრდებულის პირადი საქმე. ამ მუხლში აღნიშნული მასალების წარდგენისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე მსჯავრდებულის პიროვნება, ოჯახური პირობები, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მოხდილი სასჯელი და სხვა გარემოებანი, რომლებიც დადებითად ახასიათებს მას.

დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის უარი, წარდგინებით მიმართოს სასამართლოს სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე, უნდა იყოს მოტივირებული.

მსჯავრდებულთა შრომითი საქმიანობა ხორციელდება ამ კოდექსითა და შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით. აკრძალულია მსჯავრდებულის იძულება შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას. მსჯავრდებულთა შრომაში ჩაბმა ხდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, თუ დაწესებულებას გააჩნია მსჯავრდებულის დასაქმების შესაძლებლობა. მსჯავრდებული შეიძლება დასაქმებულ იქნეს ასევე იმ საწარმოში, რომელიც დაწესებულების ტერიტორიაზე არ მდებარეობს. ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულები მუშაობენ მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე.

მსჯავრდებული შესრულებული სამუშაოსათვის იღებს ხელფასს საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

მსჯავრდებულები, მათივე თანხმობით, შეიძლება დასაქმებულ იქნენ ანაზღაურების გარეშე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების კეთილმოწყობისათვის. აღნიშნულ სამუშაოებში მსჯავრდებულთა შრომის გამოყენება ხდება თვეში ერთ მსჯავრდებულზე არაუმეტეს 30 საათის ხანგრძლივობით.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია შექმნას პირობები, რათა მსჯავრდებულებმა მიიღონ ზოგადი და პროფესიული განათლება. ადმინისტრაცია ვალდებულია დაწესებულებაში მოაწიოს ბიბლიოთეკა, რომელშიც უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ასევე

მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა.

არასრულწლოვან მსჯავრდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს ზოგადი განათლება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით. არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის დაწყებითი განათლების მიცემა სავალდებულოა.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთათვის უნდა შეიქმნას პროფესიული განათლების მიღების პირობები. პროფესიული სწავლება ნებაყოფლობითია. მსჯავრდებულთა პროფესიული სწავლების დროს უპირატესობა ეძლევა იმ პროფესიებს, რომელთა შესწავლაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პირობებშია შესაძლებელი.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებას უზრუნველყოფს დაწესებულების ადმინისტრაცია. დაწესებულების დღის განრიგი უნდა ითვალისწინებდეს სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულთა მონაწილეობის დროს. სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა ხდება მსჯავრდებულის თანხმობით. სარეაბილიტაციო მუშაობა მსჯავრდებულთან ტარდება მისი პიროვნული თვისებებისა და ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით.

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურება ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი სამედიცინო მომსახურების სტანდარტების შესაბამისად.

კოდექსის ცალკე თავი დათმობილი აქვს წინასწარი პატიმრობის აღსრულების წესსა და პირობებს. წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში მიღების დროს პირმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, რომელსაც ატარებს წინასწარი პატიმრობის დაწესებულების ექიმი, რის შესახებაც დგება შესაბამისი აქტი. ბრალდებულის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს. წინასწარი პატიმრობის დაწესებულების უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგებ ენაზე ატყობინებს ბრალდებულს მის უფლებებსა და მოვალეობებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის სისტემის რეფორმირების შესაბამის ფინანსურ უზრუნველყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის რეფორმირების შესაბამის ფინანსურ უზრუნველყოფას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირობით, რომლებზედაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

2006 წლის ივლისიდან 2006 წლის ნოემბრამდე კოლექსის პროექტის განხილვებში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოში ეუთო-ს მისიის მიერ მოწვეული, პოლონელი საერთაშორისო ექსპერტი წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის საკითხებში მიროსლავ ნოვაკი.

პოლონელი ექსპერტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები და შენიშვნები გაზიარებულ იქნა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ჩრ კოდექსის პროექტმა სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა ევროსაბჭოს სამართლებრივ საკითხთა დირექტორატში. საექსპერტო დასკვნა მომზადებულ იქნა პროფესორ დირკ ვან ზულ სმიტისა (ნოტინგემის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა) და დოქტორ ჯერარდ დე იონგეს მიერ (მაასტრიხტის უნივერსიტეტი).

ექსპერტების მიერ გაწეული რეკომენდაციები და შენიშვნები გაზიარებულ იქნა.

ჩრვ

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა.